საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა



2024

ანგარიში

შინაარსი

კომპანიის შესახებ	03
ჩვენი გუნდი	04
დღით ადრე და დღიური ბაზარი	05
გარდამავალი მოდელი	06
NORD POOL	07
გაზის ბირჟა	08
2024 წლის მთავარი შედეგები	09
2024 წლის 1 ივლისი	10
დაგვიკავშირდით	11

სენბი

სს "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა" დაფუძნდა 2019 წლის 4 დეკემბერს.

სენბი უზრუნველყოფს:

- დღით ადრე ბაზრის ოპერირება
- დღიური ბაზრის ოპერირება
- დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა
- გაზის ბირჟის ოპერირება

მისია:

ელექტოენერგიისა და ბუნებრივი გაზის ენერგეტიკული ბაზრების ეფექტიანი ოპერირებით, გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სწორი საფასო სიგნალების მიწოდება ბაზრების არსებული და პოტენციური მონაწილეებისათვის

ხედვა:

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა არის ვაჭრობის ადგილი არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე მიწოდების მიზნით, არამედ წარმოადგენს რეგიონულ ჰაბს, რომელიც გამოიყენება დაკავშირებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების მონაწილეების მიერ ტრანსასასაზღვრო ვაჭრობისათვის

ჩვენი **გუნდი**

ირაკლი გალდავა

გენერალური დირექტორი

ეკა ლოლუა

გენერალური მდივანი

როინ ენუქიძე

იურისტი

თეონა შაკაია

ბაზრის ანალიტიკოსი

ნინო ჩიხრაძე

ბაზრის ანალიტიკოსი

ლიკა ჯოხაძე

ბაზრის ანალიტიკოსი

ნანო ბლიაძე

სავაჭრო და საკლირინგო ოპერაციების მენეჯერი

ნინო მჟავანაძე

საკლირინგო ოპერაციების ოფიცერი

თათია ღონღაძე

საკლირინგო ოპერაციების ოფიცერი

თინათინ მარუაშვილი

სავაჭრო ოპერაციების ოფიცერი

დღით ადრე და დღიური ბაზარი

დღით ადრე

დღით ადრე ბაზარზე მონაწილეებს შეუძლიათ ელექტროენერგიით ვაჭრობა მომდევნო კალენდარული დღის თითოეული საათისათვის. ამ მიზნით, დღით ადრე ბაზრის აუქციონი ტარდება ყოველ კალენდარულ დღეს, მომდევნო ფიზიკური მიწოდების დღისათვის.
დღით ადრე ბაზარი სატესტო რეჟიმში სრულყოფილად ფუნქციონირებს 2021 წლის 1 ივლისიდან

დღიური

დღიურ ბაზარზე მონაწილეებს შეუძლიათ ელექტროენერგიით ვაჭრობა მიმდინარე დღის თითოეული საათისათვის. ვაჭრობა შესაძლებელია ასევე მომდევნო დღისათვის, მას შემდეგ, რაც დაიხურება დღით ადრე ბაზარი. დღიურ ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს უწყვეტად, ყოველ კალენდარულ დღეს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2024 წლის 20 ივნისს დაამტკიცა ბირჟის ოპერატორის მომსახურების საფასურები ნულოვან დონეზე 2025 წლის 1 ივლისამდე.

გარდამავალი მოდელი

საქართველოს მთავრობის #181 დადგენილებით 2024 წლის 4 ივნისს ცვლილებები შევიდა „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის # 246 დადგენილებაში.

კონცეფციის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, დღით ადრე და დღიური ბაზრები ამოქმედდება 2024 წლის 1 ივლისიდან, ხოლო საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ამოქმედების ვადა გადავადდა 2025 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა პერიოდულად უზრუნველყოფს, დღით ადრე და დღიური ბაზრების გახსნისასთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას. სიახლეებისთვის თვალი ადევნეთ სენბის ვებ და სოციალურ გვერდებს.

Nord Pool

Nord Pool უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟისთვის სერვისის მიწოდებას, როგორც დღით ადრე და დღიური ბაზრების, ასევე ფინანსური ანგარიშსწორების სისტემისთვის.

მნიშვნელოვანი ფაქტები **Nord Pool**-ის შესახებ:

- მსოფლიოში პირველი ენერგეტიკული ბირჟა;
- ევროპის **16** ქვეყნის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორი;
- ხორვატიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საქართველოსა და ისლანდიის მომსახურე ოპერატორი.

დღით ადრე ბაზრის პლატფორმა
Nord Pool-ის აუქციონის პლატფორმის მეშვეობით მონაწილეებს შეუძლიათ განათავსონ საათობრივი განაცხადები ფიზიკური მიწოდების წინა დღეს. **Nord Pool** ბაზრის შედების გამოთვლისთვის იყენებს პან-ევროპულ **EUPHEMIA** ალგორითმის.

დღიური ბაზრის პლატფორმა
Nord Pool სისტემა ინტეგრირებულია ევროპის ტრანსსასაზღვრო დღიური ბაზრის (**XBID**) გადაწყვეტასთან, რაც იძლევა შესაძლებლობას, დღიურ ბაზარზე ვაჭრობა განხორციელდეს ევროკავშირის ყველა ქვეყანისა და ნორვეგიის ლიკვიდურობის აუზში ერთსადაიმევე დღეს.

კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემა (**CASS**)
Nord Pool სთავაზობს ყველა მომხმარებელს კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემურ გადაწყვეტას, რითიც უზრუნველყოფილია, ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემზე და ინფორმაციაზე წვდომა.



2024 წლის მთავარი

შედეგები

- დღით ადრე ბაზრის გაშვება
- დღიური ბაზრის გაშვება
- გაზის ბირჟი მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადება
- ტრენინგები “ელექტროენერგიის ბაზრები”
- 13სერთიფიცირებული სავააჭრო წარმომადგენელი
- 43 რეგისტრირებული მონაწილე
- დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერირება

2024 წლის 1 ივლისი

2024 წლის 1 ივლისს ოფიციალურად ამოქმედდა საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, რითაც დასრულდა ბირჟის ოპერატორის მრავალწლიანი ტექნიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული მზადების ეტაპი. ზემოხსენებულ თარიღს განსაკუთრებით მომზადებული შეხვდა ბირჟის ოპერატორი, მათ შორის, გახსნის ეტაპზე ელექტროენერგეტიკულ სექტორს სენბიმ შესთავაზა:

- გამართულად ფუნქციური სავაჭრო პლატფორმა
- განახლებული ელექტროენერგიის ბაზრის წესები
- განახლებული შიდა დოკუმენტები (ინსტრუქცია, გზამკვლევი, ა.შ.)
- კოორდინაცია ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმაში ჩართულ მხარეებთან
- კოორდინაცია ელექტროენერგეტიკული სექტორის მონაწილეებთან
- გადამზადებული მონაწილეები
- სავაჭრო წარმომადგენლების კვალიფიცური რაოდენობა მონაწილეებისთვის
- კვალიფიციური გუნდი
- გამართული საკომუნიკაციო არხი

გაზის ბირჟა

2024 წლის 2 თებერვლიდან საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის აქციონერების შემადგენლობა გაიზარდა.

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და სს ელექტროენერგეტიკული ბაზრის კომერციულ ოპერატორთან ერთად, სენბის აქციონერები არიან სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია.

აქციონერთა შემადგენლობის განახლება უმთავრესად განპირობებულია იმ მიზნით, რომ საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ უზრუნველყოს საქართელოში ბუნებრივი გაზის ბირჟის დანერგვა და ფუნქციონირება.

დაგვიკავშირდით

www.genex.ge

+995 32 205 45 88

mail@genex.ge

ქ.თბილისი, კ. ხეთაგუროვის 36

სენბი GENEX